დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №7

2022 წლის 25 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ანანურში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის,ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის,61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „გეოგრაფიული ობიექტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ანანურში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პირველი ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს,საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამრთი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ინაშვილი**

474633.503
4669218.3975
ლეგენდა
კოორდინატები_XY
საპროექტო ქუჩა
რეგისტრირებული ნაკვეთები
1 სმ = 25 მ